- იმ დამთხვეულმა მოისურვა განაპირას გადმოსახლება. სახლში კი არა, ამ სოროში, რომ მეზობლად აღარ გვეცხოვრა. განგებ მოიქცა ასე, მუდამ ბოროტებით, შურით აღსავსე.

**გორგო**

- ფრთხილად! დანონზე, მეუღლეზე ახლა მაინც ნუ ამბობ ამას, ბავშვი აქვეა, მეგობარო, გადახედე, რა სახით გისმენს. შენს მაიკოზე კი არ ამბობს, ზობირიონ, მშვიდად იყავი.

**პრაქსინოა**

- მართლაც, ყველაფერს ისმენს ბიჭი, ვფიცავ ქალლმერთს!"

**გორგო**

- ძვირფასი მამა!

**პრაქსინოა**

- და ეს მამიკო ამას წინათ (ჩვენთვის მაინც ახლახანს იყო) მწვანილისა და სოდისათვის გავაგზავნე ერთხელ ბაზარში, მან კი მარილი მომიტანა! დოყლაპია, შტერი მუტრუკი!

**გორგო**

- იგვე სენი ჩემს ქმარსაც ჭირს, დიოკლიდეც ხომ მფლანგველია. შეიდ დრაპებად სახლში მოათრია გაერეტილი ცხვრის ხუთი ტყავი, დავლეჯილი და ჭუჭყიანი. დამიმატა საქმეზე საქმე.

ახლა კი სწრაფად გადაიცვი ტანსაცმელი და პერინება, პტოლემეოსის დიდებული სასახლისკენ ავიღოთ გეზი, ჩვენც ვიზეიმოთ ადონისის დღესასწაული. თურმე სასახლე სიმდიდრითა და ეშხით ბრნებინავს.

**პრაქსინოა**

- ნეტარებენ მუდამ მდიდრები.

**გორგო**

სხვასაც უამბე დღეს ნანაზი - ვინც ვერ შეძლებს ზემზე ნასვლას. დროა გავიდეთ.

**პრაქსინოა**

- მოცლილებს ხომ ყოველდღე აქვთ დღესასწაული. ევნოა, მოდი, გასალები ისევ იქით, შუისკან დადგ. ფაფუკზე წოლა ურჩევნიათ ხოლმე კატებს. წუ ინაზები! გაინძრი და მოიტანე წყალი სწრაფად, ჯერ წყალი მინდა, ეს ულელი კი საპონს მაწვდის. ჰო, ჯანდაბას, მომეცი ბარებ! რა ფეხსუმი ხარ, ბეგრს წუ მისხამ, გამილუმპე, ხედავ, ქიტონი! გეყოფა. მაინც დავიბანე, ლმერთა ნებით, ასე თუ ისე. დიდი ზანდუკის გასალებიც მომიძებნე. სად არის ნეტავ?

**გორგო**

- როგორ გამდება, პრაქსინოა, ნაკეცებით მორთული კაბა! ხომ არ გამიმხელ, რა მიეცი ამ მშვენიერ, ძვირფას ქსოვილში?

**პრაქსინოა**

- წუ მკითხავ, გორგო, სუფთა ვერცხლის ორ მინაზე მეტი დავხარჯე, თვით კაბის თარგიც კი ჩემია - ჩავაქსოვე შიგ მთელი სულა.

**გორგო**

- მაგრამ ხომ ზუსტად გამოვიდა, რაც გინდოდა?

**პრაქსინოა**

- ჰო, მართალს ამბობ.

ქუდს და ტანსაცმელს რომ მომიტან, მერე სახლიც მოაწესრიგე, შეიღო, შენ მაინც ვერ წაგიყვანა, იღრიალი, რამდენიც გინდა.

არ მსურს, დაკომლდე სამუდამოდ. იქ წუაა, იქ ცხენი დაგებენს. აბა, წავიდეთ, დამშვედე, წუ იტირებს ბავშვი, ფრიგია.

ძალლს რომ ეზომში შემოუშვებ, გადარაზე მერე კარიბჭე.

დილო დმერთებო! ამ ჯგლეთიდან თუ გვაღალნევთ, წუ ტავ, როდესმე? ჭიანჭველათა უცარაულ და უთვალავ ჯარს მაგონებს ხალხი.

ბევრ სიკეთეს ქმნი, პტილემების, მას შემდევ, რაც შენია მშობლებმა ბინა დაიდეს უკვდავთ შორის. ვერას ვენგებენ უცხო მხარეში მოხეტიალე მშვიდობიან ყარაბ მგზავრებს თვით ეგვიპტელიც.

რა დომხალია, ღმერთ ჩემო! არეულ ხალხს ლალობა უნდა.

ყველა ერთმანეთს დამშვავესა, აინყილებს თავი, გაგიუდნენ.

რა გვემველება, ჩემო გორგო? ხედავ ჩვენს წინ სამეფო კარის საბრძოლო რაშებს? ძალიან გთხოვ, გენაცვალე, წუ გადამივლი!

ეს ყალყზე მდგარი ცეცხლოვანი წითური ცხენი ავ ძალლს წააგას, მეჯინიბესაც ტლინკებს უყრის. გაიქცი იქით, ევნოა.

რა ჭკვანურად მოიქცეცი, პატარა რომ სახლში დავტოვე.

აბა, გამხნევდი, პრაქსინოა!

**გორგო**

უკვე იმათ უკან აღმოვჩნდით,

ვინც ცოტა ხანში შევა, ალბათ.

**პრაქსინოა**

- მეც აქა ვარ, შემოგიერთდით.

შიშის ზარს მცემდა ბავშვობიდან ულაყი და გველის პერანგიც მეზიზლებოდა. ჰე, დავუჩეაროთ, არ იღება ხალხის ნაკადი.

დედი, საიდან, სასახლიდან?

**მოხუცი ქალი**

- მე? ჰო, შვილო.

**პრაქსინოა**

- შევძლებთ შეღწევას?

**მოხუცი ქალი**

- თუ ტროასთან მდგომ აქაველთა მოთმინებით აღიჭურვებით,

შეძლებთ, ლამაზო. საქმე ცდა და მოთმინებას მოითხოვს მუდა.

**გორგო**

- ორაკულივით გვაძცნო თითქოს ამ მოხუცმა, ალბათ, შევაღწევთ.



## ხელისუფლის განცხადითი

ეროვნულ დღესასწაულადაც იქცა. მემუარების დახლიშე გამოტანის პარალეურად მაღაზიებში დამონტაჟებული მეგაფონებიდან ეროვნული პიმინი ისმოდა. ასე სცეს პატივი ნობელის ლაურეატ მხერაძს, რომელსაც კოლუმბია საკუთარ სიაუდე აღიარებს. თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ მარესი არც ერთ პრეზენტაციას არ დასრულება. ის მენეკოში, საკუთარ სახლში ისვენებს, მკურნალობს და, აღბათ, როგორც სჩევვია, დიალოგებს მართავს საკვალითან. ამასობაში კა, მის მემუარებს მთელი ესპანურებოვანი მსოფლიო უდიდესი ინტერესით ენაფება. გერმანულ, პოლანდიურ და იტალიურენოვან მკითხველს, აღბათ, მალე გაუმრთლებს – გამოცემები "იცხოვრო, რათა მოჰყვეს" თარგმანების გამოცემას მათ წლის ბოლომდე პირობებინ. მზადება ინგლისური ვერსიაც, რომლის გამოსვლის თარიღადაც 2003 წლს ასახლებენ. თუმცა, მემუარების თარგმნის გარშემო პრესამ ისეთი ამბავი ატეხა, რომ მის შესახებ ერთმანეთის მიყოლებით გარცელდა ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობები. ზოგიერთი წყაროს მიხედვით, მემუარები უკვე ითარგმნება ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე და ისინი ჰილანდიურ და იტალიურ ვერსიზე უფრო მალე გამოვა. დაბაული სიტყუაციას აქტივულიშიც, სადაც საქმები პოლიციაც კი ჩაერთო, წიგნის პრეზენტაციის დღეს, ბოგოტასთან ახლოს მდებარე ქალაქ არმენიაში, სატყიორთო მანქანიდან კრიმინალებმა წიგნის ოცი ეგზემპლარი გაიტაცეს. ახლა შიშობრი, რომ კოლეგების ქუებში მემუარების არალეგალურ ვერსიები გამოჩნდება. ლეგალურად კი, გამომცემლობა "ნორმას" ცნობით, დაბეჭდილია "იცხოვრო, რათა მოჰყვეს" მილიონი ეგზემპლარი. ეს რაოდენობა რამდენიმე ესპანურენოვან ქვეყანაზე გადანიშნებული.

ბუნებრივია, მარესი გამომცემლების ამ ტრიგიალურ ენებათაღლვას აინუშიც არ აგდებს.

ის ისე "ისწრაფის" საწერად, თითქოს, შემოქმედებითი პროცესით ტკობას ცხოვრებაში პირველად და ყველაზე მძიფრად ახლა განიცდიდეს.

ცნობილია, რომ ავტორი თავის ერთგულ "მაკინტოშის" კომპიუტერს არც წინათ შორდებოდა დიდ ხნით – დღლის ადრე დგებოდა და მაშინ მუშაობას იწყებდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც მომაჟვდნებელი სენი შეეყარა, ყველაზე შეიცვალა. ახლა ის მართლაც ყოველ წუთს ეხარბება და ყოველ დილას, საკუთარი წებითვე, ერთგვარ მარათონში ებმება – ცდილობს როგორმე აზრი არ დარჩეს უთქმელი და განცდა გადმოუცემელი.

ამიტომ, როგორც "ნიუ იორკ ტაიმსის" უურნალისტი მოგვითხრობს, მწერალი თითქმის სრულად ჩამოშორდა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებას (როგორც წლის გასსოფთ, ის ბოლო წლებში აქტიურად მონანილებდა სამშეირი მოლვანებს. კარლოს ფუენტესთან ერთად თეთრ სახლში ვიზიტსა და ბილ კლინტონთან შეხვედრის შესახებ ესეც დაწერა). ახლა მარკესი თითქმის აღარავის იღებს, მასთან შესვლის და სიგარეტის შეტანის უფლება მხოლოდ მეულეს, მერსედეს აქვთ. ბუნებრივია, ინტერვიუებსაც თითქმის აღარ იძლევა. და მიტომ გაზეთებიც ერთმანეთისგან იწერება კოლუმბიურ გამოცემა "ელ ტიემპოში" დაბეჭდილ მწერლის სიტყვებს: "მეგობრებთან კავშირი თითქმის მინიმუმმდე შეეგმიცირე, გავთიშე ტელეფონი, გადავდე მგზავრობის გეგმები. და ასე, საკუთარი წებით გამოვიყეტე თავი ერთ ითახში, რათა ყოველ დღე, შეუსვენებლად ვწერო". ამ ფრიზიდან გამომდინარე ვარაუდობენ უურნალისტები, რომ მემუარების პირველ ნაწილს მეორე და მესამე ნაწილიც მალე მოჰყვება.


"იცხოვრო, რათა მოჰყვეს" კი დაბრუნებაა სანქციასთან, ბავშვისათან. ესაა დაბრუნება ლარიპ და მისტიკურ არაკატაკაში, სადაც ყველაფერი დაინიჭია.

მოსახვევში გამოჩნდა თუ არა, გავირვებულმა შემოშედა. ძალლის კუდი აპრილი და ჩემს დასაყინოსად მოემზადა. კაცი გაუნძრებლად იდგა, ხმას არ იღებდა. შემდეგ თოფი მოიხსნა, მინას დაყრდნო და დამაკვირდა.

არ ვიცი რატომ, მაგრამ მეგონა, რომ კარიბის ნებისმიერ ნანილში შეიძლებოდა ვეოფილიყავი კოლუმბიის გარდა, იმისაც მეტონიდა, რომ ჩემს ნათევამს ვერ გაიგებდა, მაგრამ მაინც გადაეწყვიტე ესპანურად გამოვლაპარაჟებოდი:

- დამეტარეთ, სენიორ!

კაცი პასუხის გაცემას არ ჩქარირების სხმულის პალების შეურის. ამას მოჰყვა ყველაზე გრძელი წუთი ჩემს ცხოვრებაში. უცემა საღალაციდან ჩაღლის გაჩნდა, რომელიც უკან კალათებით დატვირთული ვირი მოსდევდა. მათ ფერმკრთალი ჩაღლისფერ-ქუდიან კაცი მოჰყვებოდა უკან. კაცს ზურგზე თოფი გადაეკიდა და შარვლის ტოტები მუხლებამდე ჰქონდა აკეცილი.



REUTERS

გაბრიელ გარსია მარკესი

მარკესის ბებიის მიერ მოთხოვნილ ამბებზე, ბაბუას თავს გადახდინილ ისტორიებზე იმდენი თქვეს სხვები, რომ ბოლოს მწერალმა გადაწყვიტა, ეს ამბები პირველ პირში, თავად მოეთხო. წიგნი არაკატაკაში გატარებული ბავშვობით იწყება და 1955 წელს წყდება, როდესაც მარკესი თავის მოგროვნების სიტყვებს: "მეგობრებთან კავშირი თითქმის მინიმუმმდე შეეგმიცირე, გავთიშე ტელეფონი, გადავდე მგზავრობის გეგმები. და ასე, საკუთარი წებით გამოვიყეტე თავი ერთ ითახში, რათა ყოველ დღე, შეუსვენებლად ვწერო". ამ ფრიზიდან გამომდინარე ვარაუდობენ უურნალისტები, რომ მემუარების პირველ ნაწილს მეორე და მესამე ნაწილიც მალე მოჰყვება.

მემუარებში ყველაფერი ნამდვილია. თითოეული ფატი, თითქოს უსე სტორიებზე კი, სრული სიზუსტითა გასხვენებული. მარკესი იგონებს იმ დომინიკენებში ბეის ბოლისტის ბორგაზაფას, რომელსაც 50 წლის წინათ იცნობდა, იხსენებს იმ ბორდელის ისტორიას, სადაც ადრე ცხოვრობდა, იხსენებს იმ მეტებიც და ნათესავები ეხმარებოდნენ. ბუნებრივია, ავტორი აღადგენს იმ მომენტსაც, როდესაც, 23 წლის ასაში მწერლობა გადაწყვიტა; როცა თევა, რომ ან ამ გზას დაადგება, ან "მზევდება".

მარკესი 1948 წელსაც ისხენებს, დედაქალაქში დატრიალებული მოვლენების. იმ წელს პოპულარუსტი პოლიტიკოსის ხორბე, მარკესის სილრება დაბრუნებულ ჩვენანს ენაზე ნაწილი. ეს დრო, მარკესთან ერთად, გულის სილრებიში თავის მიერ მოვლენების პირველ კონფიდენციალურ გამოცემა გაუსავას, რაც კატერინ და როცა ადამიანმა, სხვა საგნებას და მოვლენებთან ერთად, არც სიკვდილის სახელი იცი. არ იცი იმიტომ, რომ ჯერ არც გჭირდება ეს ცოდნა. ამ დროს ცხოვრება თავად სიახლეა და სიკვდილი მხოლოდ შორს, ბუნდოვან კონტურებად მოჩანს. მის შესაცნობად ცხოვრების გავლაა საჭირო. ცხერიერი კი ისახავა, რაც კატერინ დაბრუნებას და ბარა მოვლენებს... მარკესი თავის მიერ მოვლენების შეუცველებელს და შეუცველებელის სახელი მიერ მოვლენების შეუცველებელს... მარკესი ამბობდა: "მე არ მეტინია სიკვდილის მიერ და გადადგენ არ არ არ არც გჭირდება ეს ცოდნა. ამ დროს ცხოვრება თავად სიახლეა და სიკვდილი მხოლოდ შორს, ბუნდოვან კონტურებად მოჩანს. მის შესაცნობად ცხოვრების გავლაა საჭირო. ცხერიერი კი ისახავა, რაც მოგათვა-ნიერი მოვლენებს და შეუცველებელის სიკვდილის მიერ და გადადგენ არ არ არ არც გჭირდება ეს ცოდნა. ამ დროს ცხოვრება თავად სიახლეა და სიკვდილი მხოლოდ შორს, ბუნდოვან კონტურებად მოჩანს. მის შესაცნობად ცხოვრების გავლაა საჭირო. ცხერიერი კი ისახავა, რაც მოგათვა-ნიერი მოვლენებს და შეუცველებელის სიკვდილის მიერ და გადადგენ არ არ არ არც გჭირდება ეს ცოდნა. ამ დროს ცხოვრება თავად სიახლეა და სიკვდილი მხოლოდ შორს, ბუნდოვან კონტურებად მოჩანს. მის შესაცნობად ცხოვრების გავლაა საჭირო. ცხერიერი კი ისახავა, რაც მოგათვა-ნიერი მოვლენებს და შეუცველებელის სიკვდილის... მარკესი ამბობდა: "მე არ მეტინია სიკვდილის მიერ და გადადგენ არ არ არ არც გჭირდება ეს ცოდნა". დაველოდოთ მის სიკვდილის მიერ და გადადგენ არ არ არ არც გჭირდება ეს ცოდნა. ამ დროს ცხოვრება თავად სიახლეა და სიკვდილი მხოლოდ შორს, ბუნდოვან კონტურებად მოჩანს. მის შესაცნობად ცხოვრების გავლაა საჭირო. ცხერიერი კი ისახავა, რაც მოგათვა-ნიერი მოვლენებს და შეუცველებელის სიკვდილის... მარკესი ამბობდა: "მე არ მეტინია სიკვდილის მიერ და გადადგენ არ არ არ არც გჭირდება ეს ცოდნა". დაველოდოთ მის სიკვდილის მიერ და გადადგენ არ არ არ არც გჭირდება ეს ცოდნა. ამ დროს ცხოვრება თავად სიახლეა და სიკვდილი მხოლოდ შორს, ბუნდოვან კონტურებად მოჩანს. მის შესაცნობად ცხოვრების გავლაა საჭირო. ცხერიერი კი ისახავა, რაც მოგათვა-ნიერი მოვლენებს და შეუცველებელის სიკვდილის... მარკესი ამბობდა: "მე არ მეტინია სიკვდილის მიერ და გადადგენ არ არ არ არც გჭირდება ეს ცოდნა". დაველოდოთ მის სიკვდილის მიერ და

# କିତିଥାର କମ୍ପୁଟର ତାଙ୍ଗଧିତ୍ୱା



## სირბები ავერცებები

ის, რასაც დღეს ვერლიბრად მოიხსენიებენ და რაც თანდათან მთელ მსოფლიოში ლექსნერის ერთადერთ ფორმად ბატონდება, ისე-თი ბუნების არის, რომ, - თუ სიტყვა "ვერლიბრით" აღვნიშნავდით ძველი პოეტების გარკვეული ხასიათის ნაწარმოებებს (კლივტონკისა და ჰილდერლინის ქმნილებებიდან დაწყებული თრაკლამდე და მანდელშტამდე, ალბათ თვით ელიოტმადე და ცელანამდეც კი, და თუნდაც მოკრძალებული ბობროვ-სკის ლექსებამდე), რომლებშიც რიტმი ერთგვაროვან მეტრულ სქემებში არ ეწერება, მაგრამ პირველი სიტყვიდან უკანასკნელამდე სავსებით მკაფიოდ იკვეთება, - დღვევანდელი პროდუქციისთვის აკობებდა და რაღაც სხვა სახელი შეგვერჩია. ძველი ვერლიბრი, ჯერ ერთი, მეტრთან მიმართებაში არსებობდა და განსაკუთრებული ძალით შეგვაგრძნიობინებდა პოეზიის რიტმულ ორგანიზებას სწორედ რიტმის გაქრობის ზღვარზე; და მეორეც, როგორც ზღვარზე მყოფ მოვლენას შეჰვერის, ვერლიბრი რაღაცგვრი აფეთქების, ამოფრქვევის აღმინშვნელი იყო: გავიხსენოთ თუნდაც უიტმენის ხმის ფსალმოდური ექსტაზით სავსე უდერა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ვერლიბრი სასიცოცხლის ძალას იძნენდა მძაფრ და-ბაბულობაში, რომელსაც იგი ტრადიციულ ლექსთას ქმნიდა. ამ უკანასკნელის ელიმინირებასთან (ან თუნდაც მხოლოდ დაბაბუნებასთან, გამოფიტვასთან) ერთად კი დაძაბულობაც გაქრა.

მასხსოვეს, ერთ გერმანულ ანთოლოგიაში მიყოლებით წავიკითხე თრი ავსტრიული ტექსტი: ერთი კლასიკური - სცენა გრილპაცერის დრამისა "ცხოვრება-სიზმარი", სადაც რუსტანი მას შემდეგ გამოიღვიძებს, რაც სიზმრად მთელ ცხოვრებას გაივლის (ცნობილი მოტივია, უფრო ადრე კალდერონის, შემდეგ კი ჰერმან ჰესეს მიერ ინტერპრეტირებული); და ერთი უახლესი - მონოლოგი ჰეტერ პანდევს "თვითბრალებიდან" ("მე ქვენიერებას მოვცვლინე. მე გავჩნდი. მე ჩამსახეს. მე ჩავისახე. მე განვვითარდი. მე ვიშვი. მე შობადობის სტატისტიკაში აღვირიცხე. მე ვიზრდებოდი..." და ა.შ. და ამის მსგავსია). უკიდურესი განსხვავებულობის მიუხედავად, ამ ორ ტექსტს წმინდა თემატური თვალსაზრისით (ბიდერმაიერული ტიპის მორალიზების მიღმა გრილპაცერის შემთხვევაში, სამოციანელთა "ამბოხის" მიღმა პანდევს შემთხვევაში) აშკარად აქებს რაღაც საერთო: ორივეში მოცემულია ცხოვრების უაღლესად შემაშფოთებელი, ძრწოლისმომგვრელი ხედვა - ცხოვრება თითქოსდა ცხოვრების გარედან, რაღაც არაადამიანური სივრცითან არის დანახული, საიდანაც სრულიად არარეალურად გამოიყურება მთელი ადამიანური "ეკსისტენცია".

და მაინც, ისტორიულ-ლიტერატურულ ეპოქათა გარეგან ატ-რიბუტებზე გაცილებით უჯრო ღრმა კონტრასტი, უწინარეს ყოვლისა, უძრალოდ, იმით არის განპირობებული, რომ გრილპაცერის ტექსტი ოთხტერფიანი ქორეგია, ხოლო ჰანდეკსი - პროზა, ამასთან გამიზნულად და ხაზგასმით ამორფული პროზა. ამიტომ მეორე მათგანს ახასიათებს ის, რასაც პირველს ვერ დააბრალებ: მასში მთლიანად არის გამჭრალი დისკიპლინა, ადამიანური თავდაჭერისა და ქცევის მანერა, რაც, როგორც მუდამი ითვლებოდა, სწორედ შემაძრნუნებლის წინაშე არის აუცილებელი. რაც უნდა დაემართოს გრილპაცერის გმირს, ქორეგით დაწერილ ერთ სტრიქონს აუცილებლად მოჰყვება მეორე და ასე გაგრძელდება დრამის დასასრულამდე; დაახლოებით ისევე, როგორც ჩვენი გარდაცვალების შემდეგ მსოფლიო დრამის დასასრულამდე ერთმანეთს შეცვლიან ნელინადის დრონი და კვლავ და კვლავ მოვლენ ახალო ახალი თაობები, რისი ცოდნაც, სულ ერთია - გვამშვიდებს იგუ თუ

არა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენს ადგილს მიგვიჩებს და უდრეკობას გვმატებს. "... И пусть, у гробового входа / будет жизнь играть, / И равнодушная природа / Красою вечного сиять", - პუშკინმა, გრილ-ჰაცერის თანამედროვემ, მხოლოდ ამ ერთხელ მოახდინა ასეთი სოფ-ლებდევის სიტყვიერი ეკაბლიკაცია, მაგრამ განა გამუდმებით აბასვე არ ავაუზნება თვით ლიპი პუშკინისა?

ლიტერატურის თეორიისა და  
ლიტერატურულ კრიტიკაში უყვარდათ მსჯელობა ფორმისა და  
შინაგანისას შესაბამისობაზე კლასიკურ ლიტერატურაში. დროა ისიც  
ითქვას, რომ ეს არის კონტრასტული შესაბამისობა. „ევგენი-ში“ ხდება სასოწავლევთასთან მე-  
ტად ახლოს მყოფი განწყობილების ყოველმხრივი თემაზება; ამას-  
თან რომანი თავიდან ბოლომდე  
გაშლილია (და აქ ფრინად დროული  
იქნებოდა გავვეხსენებინა პახტი-  
ნის მთელი მსჯელობა რომანზე,  
როგორც ეპოსის საპირისპირო  
მოვლენაზე!), როგორც ავტორის

ურევულოდ და თავისუფალი couiserie მკითხველთან, რომელიც პრინციპულად არაფრიდან იწყება და არაფრით მთავრდება. მაგრამ ონეგინის სტროფი ყველაზე უფრო მკაცრად ორგანიზებული და მუსიკალურად მონესრიგებულ სტროფ-თა რიცხვის ეკუთვნის. ან კიდევ, რა საშინელებები გადაგემლება თვალწინ, როცა ცოცხალი თვალით გადაიკითხავ, თუნდაც, "ენეიდას" მეორე სიმღერას, სადაც, ასე გეჩვენება, ნანინასწარმეტყველევია მსოფლიო ომების ეპოქის მაკაპერული თემები; მაგრამ ვერგილიუსის ჰეგზამეტრის მოძრაობა კონტ-რასტულ საპირონეეს უქმნის განუწყვეტელ კოშმარებს.

ეგრეთ წოდებული ფორმა იმის-  
თვის როდი არსებობს, რომ იქცეს  
სათავსად ეგრეთ წოდებული შინა-  
არსისთვის, როგორც ჭურჭელი  
მასში ჩალვრილი სითხისთვის, ან  
კიდევ აირევლოს იგი, როგორც  
სარკე ირეკლამებს საგანს. "ფორმა"  
კონტრაპუნქტულად ეკამათება  
"შინაარსს", უქმნის მას საპირო-  
ნეს, რომელიც უკვე არსებობს  
პრინციპიდანწვე შინაარსობლივი  
ბუნების არის; ასეა, რამდენადაც  
"შინაარსი" – ესაა მუდამ და ისევ  
ადამიანური ცხოვრება, "კერძო",  
ხოლო "ფორმა" არის გახსენება  
"საყოველთაოსი", "უნივერსუმი-  
სა", "ლოთაებრივი სამყაროს"; "ში-  
ნაარსი" – ესაა ადამიანის ხმა, ხო-

„ფორმა“ - მარადმოხმიანე საორლანი ფონი ამ ხმისთვის, „კოს-მიური მუსიკა“. „ევგენი ონეგინის“ ამა თუ იმ სტროფის შინაარსი გვე-საუბრება ნანარმობის გმირების ცხოვრების უაზრობაზე და, ამის მეშვეობით, ავტორის ცხოვრების უაზრობაზეც, ესე იგი კვლავ და კვლავ საკუთარზე, კერძოზე; მაგ-რამ ონეგინური სტროფის არქი-ტეტრონიკა გვესაუბრება მთლია-ნობაზე და ყოველგვარ ჰეგელზე უკეთესად ჩაგვაგონებს, რომ das Wahre - ეს არის das Ganzel. კლასი-კური ფორმა მსგავსია ზეცისა, რო-მელსაც დაჭრილი ანდრეი ბოლ-კონსკი აუსტრერლიცის თავზე შეს-ცერის. არ ვგულისხმობ, თითქოს იგი გვანუგებებდეს (ყოველ შემთხ-ვევაში, ამ სიტყვის ტრივიალური, დატებილული აზრით); მოდი, ნურც სიტყვა „კათარზის“ გამოვიყე-ნებთ, როგორც მეტისმეტად გაც-ვეთილს; უბრალოდ, ფორმას შემო-აქცს საყოველთაოს კონტექსტი, მისი საზომი და ამით გამოვყავართ კერძობითის ჩიხიდან.

(გულწრფელად უნდა ვაღიაროს: თუკი რამეტი ვხედავ პუშკინის პოეზიის რელიგიურ ფასეულობას, ეს არის არა იმდენად თავაზიანი პასუხის მეუჯე ფილარეტისადმი ან კიდევ წმიდა ეფრემ ასურის გადმო-რუსულება, რამდენადაც განტერელი ერთგულება კონტრაპუნქტი-სადმი, სადაც ადამიანის ხმას, რომელიც მუდავ თავისას - ვნებიანს, უკეთეურს, გაუმართავს - ამბობს, სტროფიკიდან, რიტმის განყენებული სიმძინობრიდან ეხმიანება რაღაც ზეციურ ძალთა ქოროს მსგავსი. ძველი პოეტები მეტწილად ცოდნებიანი ადამიანები იყვნენ, მაგრამ უმეტესი ცოდვა და, იმავდროულად, ჩლუნგი სიბრიყეება ცდილობდე, სიტყვაში გამოიჭირო ისინი, რადგან ამ პოეზიაში ყოველთვის არის არა მხოლოდ სიტყვა, არამედ საიდუმლოც - მეტასიტყვიერი, მუსიკალური პასუხი სიტყვაზე; ვისაც ყურნი აქვს, დაუ, გაიგონოს ეს პასუხი, ხოლო ვისაც არა აქვს, აჯობებს, ლექსებს ნუ ნაიკითხავს. "აი, ნახეთ, რა ნამოსცდა, ამ ნაძირალას! ნახეთ, როგორ გათქვა საკუთარი თავი!" მართალია, წმოსცდა, მართალია, თავი გათქვა - ხოლო რიტმია კი საკუთარი პასუხი გასცა ყველაფერს. გავპედავ და ერთგვარი გადაჭარბებით ვიტყვი: როცა ჯანყი და სასოწარკვეთა ისეთი უზადოდ დისციპლინირებული და ამასთან ცოცხალი ფორმით გა-

მოხატავენ საკუთარ თავს, რო-  
გორც ეს პუშკინთა ხდება, - ეს  
თოთქმის იგივეა, ფსალმუნი რომ  
საკუთარ წიაღში აქცევს „უგუნუ-  
რის სიტყვებს: „არა არს ღმერთი“ -  
და ამით სპლექს მათ.)

...ლექსი, სწორედ ლექსი მსჯელობის სავნად მხოლოდ იმის გამო იქნა შერჩეული, რომ მასში შედარებით უფრო კონცენტრირებულად და თვალსაჩინოდ არის ნარმოდგენილი ის სანციის, ურომლისოდაც, ცხადია, ვერ იარსებებს ნამდვილი პროზაც, - ვთქვათ "გალეთის ომის ჩანაწერები" ან "კაპიტნის ქალიშვილი", - იმ "პროზის-გან" ანუ, უძრალოდ, არალექსის-გან განსხვავებით, რომლითაც, გვახსოვეს, პ-ნი ჟერდენი ლაპარაკობდა.

თარგმნა  
მიქელ იოემაძემ

## ମରୀ ପାତ୍ର୍ୟଜୀବ

# იურიდიკური მომსახურების და საოცნელობრივი მომსახურების განვითარების სამინისტრო

፩፻፭፻

მოგვიანებით თავად იეიტს-  
მა შეადარა ეს პოეზია გა-  
ლუეის საგრაფოში მის მი-  
ერვე შექნილ და აგარაკად  
გადაცეკიტებულ ბელილის  
ციხე-კოშკს, საადაც ზაფხუ-  
ლობით მეუღლესთან ერ-  
თად ისვერებდა.

ქვის დამუშავება და  
განლაგება, სიმყარის ალქმა  
და საამისოდ ოსტატის გა-  
მორჩეული შემართება... ესა-  
ყოველივე ზედმინევნით  
ესადაგება იეიტსს, პოეზია-  
ში ჩაფლულ ხელოვანს. შე-  
უსვერებლად მუშაობდა  
ლექსის საბოლოო ფორმის  
გამონასკვამდე, ცდიდა და  
წონიდა თითოეულ სტრი-  
ქონს, ვიდრე უზარმაზარ-

სის იღლუს მშენებელს რომ უკადა  
და ხელთ და დამუშავება  
განუზრახაჲს.  
მისი ლექსების კრებულში” ყველაზე მეტად  
შთამბეჭდავია ავტორის საგულდაგულოდ გათვლილი  
პოზიცია და კიდევ იმის შეგრძნება და გააზრება, რომ  
ჩვენს წინაშე არის იპუსი,  
რომელიც თითქოს სამხედრო სტრატეგებს შეუქმნით  
შთამომავალთა ურდიღებთან,  
მათივე პოეტ-მზვერავებთან, ან სულაც ინტელექტუალურ პარტიზანებთან  
გასამკლავებლად. ეს იმას წინავს, რომ ხელოვნების ისტოვის ალყის გაძლებაც

დიალი და გეოგრაფიული პოტი - უ.ბ. ივათეს



କର୍ମଚାରୀ ପରିଷଦ ନାମିତି

იეიტსი კველაზე დიადი და, ამასთან, კველაზე შემაკრობელი თანამედროვე პოეტია. მისი ამა თუ იმ თხზულების გაცნობისას გაოგნებულ მყითხველში მყისვე იღვიძებს როგორც ნანარმოებისგან, ასევე - ავტორის პიროვნებისგან განრიდების სურვილი, რადგან ნინააღმდეგ შემთხვევაში მას დაიმორჩილებს რაღაც საშიშარი, დემონური ძალა. არ არსებობს იუიტ-სის წვდომის სხვა საშუალება, თავგანწირვისა და საკუთარ ნებაზე უარის თქმის გარდა. გზა ზოგიერთი მწერლისკენ - მასხსენდება ჯონ-სი და ფოლკნერი - ეკლიანა; იუიტ-სი კი, ამასთან ერთად, სრულ შინაგან გარდასახვას გვიქადის.

მისი უმნიშვნელოვანესი, ცენტ-  
რალური თემაა მეტამორფოზა -  
ინკარნაცია - პიროვნების გარდა-  
ხორციელება წმინდა, რიტუალური  
აქტის მეშვეობით. ამიტომ ადამია-  
ნი უნდა იქცეს იუიტსად, რათა  
იუიტსი წაიკითხოს, ეს კი სხვა არა-  
ფერია, თუ არა შეძყრობილობა.

როგორც ლიტერატურის მოყვანაულსა და, ამასთან, მწერალს, ყოველთვის მიზიდავდა ადამიანის ნარმოსახვაში მიმდინარე მაგიური და, შესაძლოა, აყვედითი პროცესები. ამქვეყნად არსებულ იღუმალ მოვლენებს შორის ისინი, ალბათ, ყველაზე ამოუცნობთა კატეგორიას განკუთვნება. რა გზით გარდა-სახავს პოეტი თავის ბანალურ აზ-რებს (და განა აზრთა უმრავლესობა ბანალური არაა?) მშვენიერებად? იეიტსი არ გახსლავთ ინტე-ლექტურალი, მის ნანარმოებებში არ შეიმჩნევათ თანმიმდევრულობა, მაგრამ პოეტი მზადაა, იმდენ ხანს იღლოცოს, სანამ ღვთაება არ გამოავლენს თავისისავს მლოცველის სულში ალძრული ძრწოლით, და არა - რეალურად. რა არსებობს? ბოროტება, უჯველად, არარსია; თუმცა იეიტსი კიცხავდა უიტერნს იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი ვერ ჩასწევდა ბოროტების რაობას, მაგრამ მას თვითონაც არ შეუმზავებია ბოროტების არავითარი კონკრეტცია, არ გამოუჩენია არავითარი ინტერესი ამ საკითხის მიმართ. იეიტსის აზრით, "ბოროტება", უბ

რალოდ, ქაოსია, უფორმობა, მძვინვარე არარა. და არ არსებობს არც სიცოცხლე, არც სიკვდილი, არც - ცნობიერად ფიქსირებადი მოვლენები, არაფერი - ხილვების გარდა.

"არ არსებობს სიცოცხლე და სიკვდილი, სანამ ადამიანი მთლიანად ეძლევა შემოქმედებას, მთელი თავისი სასოწარკვეთილი სუ-

აუცილებელია ადამიანის სულის განწმენდა ბინიერი თანამედროვეობისგან, გარდუვალია მისი მტანჯველი, იძულებითი "გაღვიძება" - ამიტომ თვით იეიტსიც "იღვიძებს" საკუთარი მკითხველების მეშვეობით. მის სამყაროში შეღწევისას ჩვენ მთლიანად ვერწყმით ავტორის პიროვნებას. არც ერთი სხვა მწერალი ან პოეტი არაა ეგზომ მომთხოვნი თავისი მკითხველების მიმართ. ეს მოთხოვნები გაუცნობიერებელი, ირაციონალური, დემონური ხასიათისაა და გულისხმობებ ბრძოლას ანგიმესთან ანუ ყველაზე ჭრმარიტ მესთან, რომელიც, იეიტსის მიხედვით, "მე"-ს შეძენილი შერების ერთობლიობას, ესე იგი, მისი შინაგანი სამყაროს

სტრუქტურას წარმოადგენს.  
ამგვარად, იეკიტისი კითხვისას  
ვიცნობიერებთ, რომ სწორედ  
იეკიტისი არის ჩვენი "ანტიმე", და ვე-  
ნინააღმდეგებით ამ ბობოქარ ძა-  
ლას, რომელიც ასუსტებს ჩვენს  
"ეგოს", საბოლოო ანგარიშზე კი  
ფართხმალს ყვრით მის წინაშე და  
ჩვენი სიცოცხლე ძირფესვიანად  
იცვლება.

ბევრნილად შესწავლილია  
იეკიტის ძნელსაცნაური სისტემა,  
მისი ეკოლოგიური, უზვეულო ნარ-  
მოსახვა, მაგრამ ანალიზის საგნად  
არ ქცეულა პოეტის განუსჯელი  
მოთხოვნები. ზედაზედ ქვეყნდება  
მეცნიერული ნაშრომები, რომლებ-  
შიც განმარტებულია ეს სისტემა და  
მითითებულია მაგალითები (რა  
„შესანიშნავი“ მეცნიერები  
გვყავ!), როდესაც თვით იეკიტისც  
ვერ სწვდება საკუთარი სისტემის  
არსს. ჩვეულებრივ, ერთიანად ვი-  
ძირებით იეკიტის სამყაროში, რაც  
საკმაოდ მტკიცნეული პროცესია,  
ან თავშეკავებით, ანტისეპტურად  
ვაანალიზებთ ხოლმე მას „კრიტი-  
კული“ და „მიუკერძოებელი“ მიდ-

გომის მეტვეობით. ჩვენ ვიზომებთ  
ხელოვანთა როლს "ქანდაკებებში":  
"მან ჩაქუჩითა ან საჭრისით შექმნა  
ესენი / გამოთვლები, რომლებიც  
წარმოგვიდგება ოდენ შემთხვევით  
სხეულად" და "შემოსაზღვრა /  
მოელი აღმოსავლური ბუნდოვანე-  
ბა უსაზღვროებისა".

ბუნდოვანი და უსაზღვროა  
თვით იეიტსი (ამასთან, მისი შემოქ-  
მედება გაცილებით უფრო "აღმო-  
სავლურია", ვიდრე - "დასავლუ-  
რი"), რაც უკავშირდება შინაგანი  
და გარეშე ქაოსის ტრანსფორმი-  
რებას პერმანენტულ ხელოვნებად.  
ეს უკანასკნელი კი უილიამ ბატ-  
ლირ იეიტსის თხზულებათა კრე-  
ბულია, და არა მარტო საკუთრივ  
წიგნი, არამედ, გარკვეულად, თვით  
იეიტსი. პოეტში იგრძნობა ვნებები  
- სიყვარული და მძულვარება,  
თუმცა მძულვარება მან ნაკლები  
სიმძაფრით გამოხატა, ვიდრე ამას  
ესწრაფოდა. ვნებათა მიღმა გამოს-  
ჭვივის საკუთარი თავის გარდასახ-  
ვის, მისი ხელახალი ხორცებსხმი-  
სადმი ლტოლვა. სამყარო "უფორ-  
მოა" და დანაწევრებული. ადამიან-  
მა უნდა დაუპირისპიროს თავისი  
მძლავრი პოეტური ენერგია სამყა-  
როს მძვინვარებას:

"მარტუქე ბერიკაცის ბობოქარი  
ძალა, რათა გარდავისახო და ვიქტო  
ტიმონად და ლირად, ან იმ უილიამ  
ბლეიკად, რომელიც ჭეშმარიტების  
დამორჩილებას ცდილობდა..."  
ეს ხმო არ განსაზღვრავს ჩვენს  
ჭიდილს იეიტსთან - ჩვენს შეუპო-  
ვარ ძალისხმევას, რათა არ დაწერებ-  
დეთ იეიტსის დემონს და არ ვიქ-  
ცეთ იეიტსად?  
იეიტსის მიერ ესეებსა და ნინა-  
სიტყვაობებში გამოთქმული აქვა-  
რად რაციონალური თვალსაზრისი  
უპირისისპირდება ლექსებსა და ლი-  
რიკულ დრამებში გამოხატულ  
მსოფლალებას და არავითარ ხი-  
ფათს არ უქადის პიროვნებას.  
"ადამიანის ყოველგვარი ანგარე-  
ბის საფუძველია", - წერს იეიტსი  
"ხილვაში", - "მისი კონფლიქტი სა-  
კუთარ ჭეშმარიტ ბუნებასთან". და,  
ვფიქრობთ, სიყვარულის საფუძ-  
ველსაც აგრეთვე წარმოადგენს  
"დაიმონის", ადამიანის საკუთარი  
დემონის ბრძოლა სხვა დემონთან  
ახალი "მეს", სხვა არსის ხორცეს-  
მის მიზნით. სტუდენტებს, ალბათ,  
გაუცინებათ ამ, ერთი შეხედვით,  
აზრსმონკლებულ მსჯელობაზე,  
მაგრამ ეს აბსოლუტურად სწორი  
თვალსაზრისია.

იეიტსის პროზაში გამოხატული შეხედულებებისა და მისი კეთილგონივრული მისწრაფებების (რომელიც ექსცენტრიულობითაა შენიღბული) ზეგავლენით სულ უფრო მეტად ვუჯერებთ მწერალს. ის ეთაყვანება ბლეიკს. ამ უკანასკნელმა თავის დროზე განაცხადა, რომ შექმნიდა საკუთარ სისტემას ან გამოიყენებდა სხვა პოეტის მიერ შემუშავებულ კონცეფციას. ამ ფრთხილ განაცხადში გამოთქმული პრეტენზია არ აღემატება ადამიანის შესაძლებლობებს. ის სრულიად გასაგებია. მაგრამ რა ღრმად ძევს ძირეული იმპულსი იეიტსი! ესეებში თაგს ჩრდილოდ ე.ნ. „საჯარო ადამიანი“, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა მისი მეორე „მე“, პრაგმატული ნიღაბი, ხოლო იეიტსის ჭეშმარიტი არსი არავითარი პიროვნული თვისებებით არაა აღჭურვილი. ის განმეოდილია მოგონებებისგან ირლანდიის ისტორიის სულისშემძვრელი მოვლენების შესახებ. ნაშლილია პოეტის უილბლო პირადი ისტორიაც, რომელიც ტრანსფორმირებულია

ნმინდა ემოციად, ნმინდა არსად-  
ვინც იყიტსის გზას დაადგება, აპო-  
კალიფსურ წინასწარმეტყველად  
იქცევა. რეალობის მითოლოგიზმე  
ბისადმი რომანტიკული მისწრაფე  
ბა იყიტსთან ერწყმის კლასიკურ  
იმპულსს, რომელიც აძსტრატკიე-  
ბის, იდეების მთთოლოგიზმას  
ახორციელებს. სამყაროს პირველ-  
საწყისი მდგომარეობისკენ მიბრუ-  
ნება და შექსპირისეულ ტრაგიკულ  
გმირად ან ბუნების ოდიჩდელ  
სრულყოფილ ქმნილებად ქცევა! -  
იყიტსის სიმღევის რაოდენ შესა-  
ნიშვნავი ხაჭია!

ამასთვის თავისია: ეს სწრაფვა მიზნად  
ისახავს სხეულის უკუგარდასახვას  
სიტყვად, ადამიანის განღმრთო-  
ბას, ისტორიის გაუზრებას ადამია-  
ნის ცნობიერების ფაქტების სახით.  
თუკი გონება, ეს დიდებული იარა-  
ლი, აირეკლავს ყოველივეს სამყა-  
როში, რატომ უნდა დაკმაყოფილ-  
დეს ის გარეშე, ობიექტური, უპი-  
როვნო არსების (ესე იგი, ქრისტეს)  
განღმრთობით, როდესაც შესაძ-  
ლებელია თვით ამ გონებას განღმ-  
რთობა? "ადამიანი არარაა, სახამ  
ის შეკავშირებულია გარკვეულ  
სატანა". მაგრამ მოკვდავის შეკავ-  
შირებას მარადიულთან ფატალუ-  
რი შედეგი მოსდევს ხოლმე. იყიტ-  
სის პოეზია და დრამები გაჯერებუ-  
ლია ადამიანის გარდასახვისა და  
მასში ახალი "მექ" გაღვიძების შემ-  
ზარავი სურათებით: ის იქცევა  
ფრინველად, სახედრად, მოკვეთილ  
თავად, რომელიც მღერის! ან, ალ-  
ბათ, ადამიანი გაიღვიძებს ისტო-  
რიის ახალ ფაზში, სადაც შესაძ-  
ლებელი იქნება პიროვნების არსე-  
ბობა, სადაც წარმოსახვის მშვენიე-  
რებას ჯვარზე არ გააკრავს  
უმოწყალო დრო.

იერთსი მწერალი-ტრაგიკოსია.  
ამიტომ ბუნებრივია და აუცილებელი,  
რომ არ დავნებდეთ მას.  
იყიტსის ღრმად შეცნობა ნიშნავს  
ჩვენი "შეს" განადგურებას, ანუ გა-  
უპიროვნებას. რასაც ხშირად აოზრა

ტრიკაში მონაწილეობისა და მეცნობრობის შესასური უნარის მიუხედავად, იეკიტის მარტოსაულია, მისტიკოსი. ის გვაიძულებს, გავიცნობიეროთ, რომ ჩვენც ვესწრაფვით სასწაულებრივ პიროვნულ განღმრთობას, მაგრამ იმდენად თავშეეკვეცებული, რაციონალური და შებოჭილი ვართ, რომ ვერ ვახორციელებთ ამ მოთხოვნილებას.

ჩვენ ძალზე ბევრი რამ "ვიცით" - ვიცით, რომ ისტორია რეალურად ვითარდება და რომ ციკლები არა-სოდეს მეორდება.

Բիզեն “Յուլիոտ”, րոմ ար չկթնօտ  
սամցարով Բիզեն օպերային օպերան,  
րոմ Բիզեն սուպրոկելլո արաւ գարց-  
պայլո մասինոքքին մոյր ցատամա-  
քեքնալո մարագուլո գրամա, սագաց  
ըշաբակացեած դա մոյմեցեա նոնաս-  
նար ցանեաթղթարդուլուա.

დასასადამე, იეიტსი ჩვენთვის  
გარკვეული საცოლეო და, აგრეთ-  
ვე, საშიშარი შესაძლებლობაა,  
რადგან სწორედ ის, რაც "ვიცით",  
გვიცავს თვით ჩვენ, და გვიფრარავს  
წარმოუდგენელი შესაძლებლობის-  
გან - ვიყოთ იეიტსი ან, მაგალითად,  
შექსპირი ან ბლეიკი. როდესაც  
ფიქრობთ იეიტსს პოეზიაზე, წარ-  
მოგიდგებათ ორი ხატი - "ბიზანტი-  
ურ" ტოტზე ჩამომჯდარი ოქროს  
ფრინველი და გაშეებული ლედა,  
რომელიც ნებდება ღმერთს. ეს  
ორივე ხატი იეიტსია, და ორივე ხა-  
ტი ჩვენ ვართ.

გულსწრაფი და მგზნებარე  
იეიტში სიბერეში ლოცულობდა.

"ღმერთო, დამიცავი იმ აზრე-  
ბისგან, რომლებიც მხოლოდ გონე-  
ბაში წარმოიშობა; ის, ვინც დიდ-  
ხანს მღერის, სულის სიღრმეში ხომ  
აზროვნებს კიდევ..."

## ინგლისურიდან თარგმნა



უილიამ ბატლერ იეიტს

მცხაოსია გვერდი 16


იეიტსი განისვენებს დრამკლიფის  
ეკლესიის სასაფლაოზე,  
მოშიშვილებული ენ ბალბენის ძირას.

გულგრილი თვალი შეავლე  
სიცოცხლესა და გარდაცვალებას,  
ნუ შეყოვნდები, ცხენოსანო,  
ეწიე შენს გზას!

მაგრამ ახალმა გამოცემამ ბევრი რამ შეცვალა მკითხველისათვის. როგორც ირკვევა, იმ ადრინდელი გამოცემის სტრუქტურა თავად იყოტსის ჩანაფიქრს არ გამოხატავდა. პოეტის გარდაცვალების შემდეგ გამოცემულ "Last Poems"-ში ლექსების თან-მიმდევრობა მისი ქვრივისა და Macmillan-ის გამომცემლობის რედაქტორის მიერ განისაზღვრობა და იგი ძირულად განსხვავდება მისაგან, რომელიც თავად იერქსა შეადგინა სიცოცხლის უკანასკნელ უამს. სპეციალისტებისთვის ცნობილი იყო ეს შეუსაბამობა, და აი, ახლა, როჩარდ ფინჩრანმა და იერქსის თავდაპირველმა გამომცემელმა შემოგვთავაზეს განხალეული და მნიშვნელოვნად შევსებული რედაქტია. ეს წიგნი 200 გვერდით აღემატება იმ კანონიზირებულ კრებულს, არაერთგზის რომ გამოიცა 1950 წლიდან მოყოლებული.

წიგნის რედაქტორს, ტულენინს უნივერსიტეტის პროფესიონალის, უზარმაზარ სამუშაო შეუსრულებია. გარდა იმისა, რომ მან წიგნს დაუწოდო "განმარტებები", რომელიც 100 გვერდზე მეტს მოიცავს და ორმაგ დატვირთვას ანიჭებს ამ გამოცემას - მას ერთდროულად სახელმძღვანელოც ეთქმის და ქრესტომათიაც - მეორე ტომში, "იეგისის ლექსების რედაქტორებას" რომ წარმოადგენს, იგი განიხილავს წინა გამოცემის პრეისტორიას, კრიტიკულად არჩევს მის ყოველ დეტალს და საინტერესოდ ასაბუთებს იმ ცვლილებებს ლექსთა თანმიმდევრობაში, ზოგიერთ სიტყვასა თუ პუნქტუაციაში რომ

შეიტანა. მაგრამ მისტერ ფრერანი იმასაც აღიარებს, რედაქტორებისას ყოველთვის არ ხერხდებოდა სუბიექტური ფაქტორის გამორიცხვა და ჩემს ძალას აღმატება ამ პოეზიის საბოლოო და უეჭველი რედაქციის დადგენა. მაგრამ ეს არის მაინცდამაინც მშიშვნელოვანი: მყითხველისისათვის უდიდესი მოვლენა "Last Poems"-ის იმ სახით ხდევა, როგორითაც ოვადე იერისს სურდა მოწოდება. ეს გამოცემა სხვაგვარად აღვატემეონებს მის პოეზიას: მართალია, ის მაინც რჩება ცივ და მკაცრ ხელოვნებად, მაგრამ პოეტი აღარ გვაძლევს იმის საფუძვლს, მისი განწყობა ნიღბად რომ მივჩინოთ, რომელსაც იგი ფრინალური სცენის წარმოდგენისას სთავაზობს მკითხველს. ამ გამოცემის ბოლო ლექსია "Politics" და მისი უკანასკნელი



ლი სტირიქონების ქულერადობა ასეთია: "ო, ნეტავ ისევ ყმანვილი ვიყო / და ის მელავებში მყავდეს გამომწყვდეული".

ხედავთ, რაოდენ განსხვავდება ეს სტრიქონები ჩემთვის კარგად ცნობილ მოწოდებისგან: "გულებრილი თვალი შეავლე სიცოცხლესა და გარდაცვალებას!" მათმც იგივე თეატრალურობა შეიზიშნება, მაგრამ სიკვდილის შესაგებებლად სულ სხვა პოზია არჩეული. ეს დაახლოებით იმას ჩამოვჰავს, ასეთი რამ რომ შეგვეტყო მოულოდნელად: სულაც არ იყო სერ უოლტერ რაელის უკანასკნელი სიტყვები ის შეძახილი, რომლითაც შეყოვნებული ჯალათი გაამნევა: "რამ შეგვშინა? დაჲკარ, ადამიანი!" იგი, უბრალოდ, იმ სეფექტალის სახელს იმეორებდა, ჭრის თანახმად, ჰემპტონის სასახლის ბაღში რომ შეაცდინა.

ახალ რედაქციაში ატმოსფერო პუნქტუალ დამთბარია, დაბაზულ მხედარს მოღუნების უფლებაც კი ენიჭება და იმ ლომბიერი შემანილისთვის ("მოსწორ ალვირს, მოითქვი სული"), რომელიც იყიდება ამონილ ეპიტაფიდან, ადგილი ისევ გამოიხახა. აქ ცხოვრება ესთეტურ პროვილში უკვე ალარ გარდაისახება, ძლევამოსილი სახეები კი იმ სანუკვარ ხატებად ჩრჩხა, რომლითაც უნდა ესწრაფვიდეს ადამიანი დაუოკებელი და წარმავალი, ამამ მიწიერი ყოფის საზღლაურად. ალარც ისაა გასაკვირი, რომ ამ კრებულში ბოლოდან მეორე ლექსად ამჯერად "The Circus Animals' Desertion"-ია წარმოდგენილი; პოეტს ალარ სურს შემოგვთავაზის

ლექს „გარიფარეტივით ცივი და ვნებიანი“. იგი თავს უკვე აღარ იზღუდას და საკუთარი სტრიქონების სითბოს ადამიანის სხეულის ტემპერატურას უთანაძრებს. ბოლოდან მე-სამე ლექსის, „Man and the Echo“-ს უკანას- წერილი სტრიქონებიც განსაკუთრებული სითბოს განმსჭვალული, როდესაც ციხე-სიმაგრის კედლებიდან მოულოდნელად ნა-ზი მიღოთა აათმოოვრია:

...მაგრამ იყუჩეთ, ფიქრები გამეფანტა,  
სიზმარია ეს ბნელი ღამეც და  
აღმაფრენაც,  
ქორი თუ ბუ გადმოშვა ქარაფებიდან  
და ანივლებულ მსხვერპლს დააფრინდა.  
აზრის ძაფს მიწყვეტს მის კლანჭებში  
მოქცეული კურდლის წივილი...  
ვისაც იეტსის პოეზია აინტერესებს,  
უთუოდ უნდა წაიკითხოს ეს გამოცემია.  
მერნმუნეთ, ისეთი გრძნობა დაგეუფლე-  
ბათ, წმ. ბრენდან ზღვაოსანმა და მისმა  
თანმხლებებმა რომ გამოსცადეს, უცხო

კუნძულზე გადასხვდომისას... როცა კუნძული მოვლებარე ურჩხულის ზურგი აღმოჩნდა! შესაძლოა, ძველი გამოცემის კონტურები ასე ძალიან არც კი დარღვეულიყო, "Last Poems"-ში ბენ ბალბენის უზარმაზარ კონცხს, ბოლოს ნაცვლად, პირველი ადგილი რომ არ რგებოდა. "Additional Poems" კუნძულის ფერდობზე აშლილ დიუნებს მოგვაგონებს, ხოლო სხვა, ადრეული წიგნებიდან ნასესხები შენიშვნები, თავად იეტის რომ მიეკუთვნება, ძველი პირსივით აღიმართება მკითხველის თვალწინი.

"Additional Poems"-ში თავმოყრილია როგორც ცნობილი, ისე უცნობი (რა თქმა უნდა, მზოლოდ ფრთო მკითხველისათვის) და ასე დანართები.



პიესებიდან და ისეთ ლექსებს, რომლებიც  
მას ხელმეორედ აღარ გამოიუცია. "არა, მე  
არ მომწონს ის ლექსი ჭადრებზე, მე ის ყო-  
ველთვის საძალად მიმაჩნდა ... და მი-  
მაჩნია", წერდა იყიტსა ლედი გრევორის  
1902 წელს, როცა "Irish Homestead"-ში მი-  
სი "She Who Dwelt Among the Sycamores"  
("ის, ვისაც ჭადრებში დაედო ბინა") გამოქ-  
ვეყნდა. ზოგმა, შესაძლოა, ეს აზრი გაიზია-  
როს და გაიკვირვოს მისი ხელახალი გამოქ-  
ვეყნება, მაგრამ არ უნდა ავუაროთ გვერდი  
ამავე წერილში იმ მინიმებას, სხვა გამოცე-  
ბაში მისი დაბეჭდვის წებართვად რომ აღიქ-  
მება: "არ ვიქნებოდა ასეთი კატეგორიული,  
თუ ალნიშნავდნენ, რომ ეს ჩემი ადრეული  
ნანარმოებია".

- მისი ადრეული ლირიკისა და პიესების - "The Islands of Statues" და "Mosada"-ს
- გაცნობისას თვალნათლივ ვრწმუნდებით იმ ფაქტში, რომლისაც ადრე ბრძად სანმდა მკითხველთა უმრავლესობას: იეგისა დაჯილდომებული იყო თვითგაცნობიერებისა და თვითკრიტიკისა მძაფი უნარით. მისი ადრინდელი ნაწარმოებები იმავე გენეტიკურ კოდს შეიცავენ, რასაც მისი გვიანდელი შემოქმედება. ისეთ რომანტიკულ ბალადაში, როგორიცაა იეიტ-სის "The Host of the Air" ("ციური ლაშქარი"), უკვე ამკარად შეიგრძნობა პოეტისათვის ესოდენ დამახასიათებელი სინტაქსური ბიძგი თუ მუხტი და მოულოდნელი დინამიკა:

ო'დრისქლილი ლილინით ააფრენს  
გარეულ დედალ-მამალ ინვს  
ახშირებული ლელქაშებიდან  
პირმოლუშული ტბის.

აქ ატმოსფერონ ნაკლებ თბილია იმასთან  
შედარებით, რაც იერიტუსს საკუთარი პოზი-  
სისთვის დაუწესების; ამჟერად იგი ნარმატე-  
ბით ემიჯენება პრერაფალიტა "სტუდიურ  
სიმხურვალეს". აქ უკეთ თვალსაჩინოა გა-  
მოკვეთილი პიროვნულობა, რომელიც წინ  
უსწრებს და მაღლდება იმ გარემოზე, სადაც  
ოდესსლაც საკუთარი თავი შეიცნო ხელვაზა-  
მა. მაგრამ "ჭადრებში" ასეთი რამ ჯერად შე-  
ინიშნება:

პატარა ბიჭუნას ხშირ ჭალრნარში  
თეთრი თიკანი მიჰყვავდა ყურით.  
ტყის პირას რაღაცა რუხმა გაიელვა.  
თიკანი მიჰყვებოდა  
კუნტრუშ-კუნტრუშით...

და ა.შ. ეს ხომ "სინაზეა" და არა "სიმგაც-  
რე", აյ არ იგრძნობა მეტრძლოლი სული და  
ჩემთვის საკვებით გასაგებია, თუ რაიმ თქმა  
სურდა ამ ფრაზით პოეტს: "შესაძლოა, ინგ-  
ლისურმა მეხსიერებამ ვერასდროს დაი-  
ვიწყოს რომანტიკული ჭალა ტემზისა, მაგ-  
რამ მე უფრო დრამატიზმით ნაჯეოვი ქმნი-  
ლებებისკენ მივისწნაფი". და მან ეს "ჭადრე-  
ბის" გამოკვეყნებიდან ნახევარი საუკუნის  
შემდეგ დაწერა...

ჯერჯერობით, არანაირა სუბიექტივიზმი  
არ შენიშვნება რედაქტორის მიღომაში: სიკ-  
ვდოლის სცენა შესძაბმისი ფორმით იქნა აღ-  
გნილი, გაცხადდა იუგსის შემოქმედების  
სათავეები, ბევრი ახალიც შევიტყვეთ ამას-  
თან ერთად და მზად ვართ გაფიზიაროთ ავ-  
ტორის თვალსაზრისი. მაგრამ ასკარა დაბწე-  
ულობა გვიფულება, როცა ინყება ნაძეჭდ  
ტექსტების, კორექტურის და შესწორებული  
გამოცემების ერთმანეთთან შედარება. მის-  
ტერ ფრნერანს ისეთი მონიტორითა და გულ-  
მოდენებით შეუსრულებია ეს სამუშაო, რომ  
გვიძნელდება პუნქტუაციური თუ ლექსიუ-  
რი ცვლილებების გამოწვლილოვით განსჯა-  
ვანხილვა. მოვიყვან მხოლოდ ერთ კარგ მაგა-  
ლითს: "The Spur"-ის მეორე სტრიქონში  
სიტყვა "attention" ("ყურადღება", "ზრუნვა")  
ჩანაცვლებულია მეტაფორული თვალსაზრი-  
სით უფრო მართებული "attendance"-ით  
("*მსახურება*"). "You think it horrible that lust  
and vage / Should dance attendance upon my  
old age" ("*საშინელებად მიიჩნევთ, ალბათ,  
ვნება და რისხვა / ჩემი სიძერის ლაქიებად  
რომ გადაიქცენ*"). მოგეხსენებათ, "to dance  
attendance on..." "ერთგულ მსახურებას",  
ზოგჯერ "მონურ მორჩილებასაც" ნიშავს.

თანდართულ ტოშმი მისტერ ფინერანი ასაბუთებს მსგავსი ცვლილებების მიზანშე წონილობას და სწორედ ასეთი მიღდომის გულწრფელობა გვიძლევს უფლებას, არ დავეთანხმოთ მის ზოგიერთ მოსაზრებას. სინაულს გამოვთქვავ იმის გამო, რომ ერთგან მან ალადგინა იეკიტის ექსცენტრიკული პუნქტუაცია, მეორეგან კი - დანგრეს სტილში დაწერილი ლექსის ბოლოს სტრიქონებში - ცვლილებები შეიტანა; ამ შესწორების საფუძველი ყოფილა ასლი, რომლის ორიგინალიც დაკარგულია. მისტერ ფინერნი ასლის ტექსტს ანიჭებს უპირატესობას, ვინაიდან ის უფრო გვიანდელია იმ ტექსტთან შედარებით, რომლითაც მისის იეკიტსმა და მისმა თანარედაქტორმა ისარგებლეს. ლექსის ადრეულ ვარიანტში იეკიტსმა ფრაზა "Now we shall sing" ("ახლა ჩვენ ვმიღდერებთ") შეცვალა "Now must we sing"-ით ("ახლა კი უნდა ვიმღდეროთ"), მაგრამ შემდეგ ისევ პირველი ფრაზა არჩია. და მაინც, რატომ უნდა ვიყოთ დარწმუნებული, რომ პოეტმა თავდაპირველ, დაკარგულ ეგზემპლარი კვლავ არ შეიტანა "Now must we sing" და "tunes" ("მულოდია", "მოტივი"), რომელიც აქ "notes"-ით ("ნოტი", "ტონი") არის შეცვლილი? ჩემს სმენით აღქმას თუკი ენდობით, იგი უძრალოდ მოვალე იყო, გაეცნობიერებინა თავდაპირველი შესწორების მომგებიანი უდერადობა. მისტერ ფინერანი სხვა აზრისაა და მის არჩევანს ზურგს უმაგრებს მისივე ხელთ არსებული ხელნაწერები, თუ, რათემ უნდა, დაკარგულ ეგზემპლარს არ მიკილებთ მხედველობაში.

ასე რომ, შესაძლოა, უდავო იყო, ან მხოლოდ ახლა გახდა უდავო გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ იეკიტის ლექსების საბოლოო და უუჭველი რედაქციის „დაკანონება“ არარეალურ ამოცანას უტოლდება. და მანც, კველას, ვისაც მისი პოეზია აინტერესებს, წესით, არ უნდა გაუჭირდეს მისი ლექსების საბოლოო უდერადობის წარმოდგენა, მართალია, დასაშვებია აზრთა სხვადასხვაობა ტექსტში სიტყვების განლაგებასთან დაკავშირებით, მაგრამ მელოდიურ ქარგაზე ამას ვერ ვიტყვით: აქ უკვე აღარაფერია საკამათო. დაბოლოს, ალბათ არ გვაზეუნდა, თავად იეკიტის გამონათქვამის გახსენება: „შესაძლოა, ტექსტი არ ვიცოდე, მაგრამ ეს ტექსტი ჩემში იყოს დაგანგული“.

## କୁଣ୍ଡଳ ରୀତ ବେଳିବାରୀ

თეა გარდაინა

"... Умер теперь. Навек.  
- Плачьте о мертвом ангеле!"  
*М.Ц.*

მელი ადამიანური იდეალიც გვიყვარდა. მან თავისი ცხოვრებით დაამტკიცა, რომ შეიძლება გაუძლო გამოცდას, იცხოვრო სახარებისეული იდეალებით. მუდამ სხვაზე მზრუნველს ყველა ახსოვადა, საკუთარი თავის გარდა. თითქოს ამ ადამიანს დილა იმის-თვის უთენდებოდა, რომ სხვათა საქმეები მოეგვარებინა, ერთის-თვის ხელი მოემართა, მეორი-სათვის ჩრჩევა მიეცა, ავადმყოფი მოენახულებინა. ბატონი ალექ-სანდრე ერთნაირი შემართებითა და უშურველობით იხარჯებოდა სხვებზე ზრუნვისას და ამ დროს ცნობილ პიროვნებას ახალგაზრდა სტუდენტთან შედარებით არანაირი უპირატესობა არ ჰქონია. ბატონი შურსათვის მთავარი ადამიანი და მისი სატკივარი გახლდათ. ადამიანებში მხოლოდ ღირსებას და დადებით თვისებებს ექცებდა და ყოველთვის პოულობდა. ამიტომ იყო მისი ყოველი სიტყვა, ნერილი თუ მოგონება განსხვავებული, ყოველთვის გულწრფელი. აღარაფერს ვიტყვი ბატონი ალექსანდრე გვახარიას მეცნიერულ ნაშრომებზე, რომელთაც არა მარტო მაღალი მეცნიერული დონე, არაჩვეულებრივი ერუდიცია და სილრმე გამოარჩევთ, არამედ ამგვარი ლიტერატურისათვის უჩვეულო უშუალობაც. როცა მის ნაშრომებს კითხულობ, იმდენად კარგად ჩანს პიროვნება, რომ რამდენიმე ფურცლის წაკითხვის შემდეგ ძალაუნებურად ტექსტი ცოცხლდება და ბატონი ალექსანდრეს თბილი ხმა დინჯად გვამბობს იმას, რასაც თვალები კითხულობენ. ამიტომაც მიყვარს მისი წიგნების კითხვა - ისინი ბატონი შურას სიახლოეს განმაცდევინებენ. ერთი რამ მადარდებს ძალიან: არაერთი თაობა გაეცნობა ბატონ ალექსანდრეს მეცნიერულ მემკვიდრეობას და აღიზრდება მის შრომებზე, მაგრამ როგორ გადავცეთ მათ ბატონი შურას სიკეთე, რომელსაც ასხივებდნენ მისი თვალები, ბავშვური უმანკოება რომ შეინარჩუნეს, ან გულის სითბო, რომელსაც მისი ხელები გვაგრძნობინებდნენ?!



## ალექსანდრე გვახარია



ალექსანდრე გვახარია. 60-ანი ზლების ბოლო

ტრინა ალექსანდრე შეგვეგებება, რათა უცხოობა არ გვაგრძნობინოს და მოსალოდნელი სამსჯავროს შიში გაგვიგრძნელოს. სოცოცხლეშიც ხომ იმ მშობელივით იყო, ჩვენსა და სიკვდილს შორის რომ დგას. და როცა ეს მშობელი აღარ არის, იძლება პარიერი ჩვენსა და "იმ ქვეყანას" შორის. აღბათ ამიტომაც ბატონა შურა ყველას, მასზე ასაკით უფროსებსაც კი ამ "მშობლიური" ზრუნვითა და ყურადღებით ბავშვობის ნოსტალგიას უამებდა და აძლევდა ფუფუნების საშუალებას - სხვისთვის დაეთმოთ პრობლემათა თუ პასუხისმგებლობის ნანილი.

ბატონი ალექსანდრეს გარ-

დაცვალების შემდეგ, ვგრძნობ,

ალბათ, თავად უნდა იყო ბატონი შურა, რომ შეძლო ყველაზე ზუსტი და საჭირო სიტყვების მოძებნა მის დასახასიათებლად. ამაში კიდევ ერთხელ დავრწნეუნდი, როცა გრიგოლ კიენაძის 75 წლისთვის დაკავშირებით დაწერილი და 1984 წელს გამოქვეყნებული მისი წერილი „მასწავლებელთა მასწავლებელი“ წავიკითხე. სამწუხაროდ, ამ წერილის არსებობა ბატონი ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ შევიტყვე, რისთვისაც მისი მონაფისი, თამთა ფარულავას უსაზღვროდ მადლიერი ვარ. ბევრი რამ გვეცნო ამ წერილში ბატონი ალექსანდრეს მონაფებს და, თუმცა, გრიგოლ კიენაძეს ბევრი ჩვენგანი ვერ მოესწრო (შესაძლოა, ამიტომაც), ჩვენი მასწავლებელი მაინც უკეთესი გვგონია.

ამ ქესახიშავი ხერილდას  
რამდენიმე ამონარიდი მართლა  
შეიძლება ბატონი ალექსანდრე  
გვახარიას ავტოპორტრეტად  
ჩათვალო:

"გრიგოლ კიევაძის პიროვნება  
სულ უფრო ზოგად ხასიათს  
იძენს, სიკეთის, სიწმინდის, პრინ-  
ციპულობის სიმბოლოდ მესახება  
მარტო მე კი არა, ყველას, ვინც  
მასთან ახლოს იყო, ბედნიერება  
ჰქონდა მისი ხშირი ხილვისა...  
ჩვენ-ჩვენი სხიარულიც და მნუ-  
ხარებაც მხოლოდ მასთან მიგვ-  
ქონდა სავსე ჰეშვით და ასე გვე-  
გონა, ბატონი გრიგოლი მხოლოდ  
საჩემოდ არისო ასეთი ყურადღე-  
ბით მომართული. ვერ კი ვგრძნო-  
ბდით, გვიკვირდა მხოლოდ, შემ-  
თხვევით თუ აღმოვაჩენდით,  
სხვათა მრავალთათვისაც ასე სა-  
ჭირო და მახლობელი რომ იყო. ის  
თვითონ მალავდა ამას, არ გვაძ-  
ლევდა "ეჭვიანობის" საბაბს, პი-  
რიქით, უფრო გააყვარებდა ერთ-  
მანეთს, მისი დიდსულოვნების  
მაღლით ცხებულებს გვაერთია-  
ნებდა, გვაეცილშობილებდა!"

"ბატონ გრიგოლს განსაკუთ-  
რებით ახარებდა სხვისი წარმა-  
ტება, ხალასი ნიჭის გაელვება.  
თითქოს რა არის აქ გასაკვირი,  
ყოველ წორმალურ ადამიანს უნ-  
და ახასიათებდეს ეს თვისება, ხო-  
ლო "წუხილი სხვისა სიკეთესა ზე-  
და" ანომალიას უნდა წარმოად-  
გენდეს! მაგრამ ბატონ გრიგოლს  
სხვაგვარად უხაროდა, ეამაყებო-  
და, ეთავისებოდა ყოველივე კარ-  
გი და გამორჩეული".

"გრიგოლ კიკანაძის შრომებ-შიც და პიროვნებაშიც ორგანულად იყო შერწყმული მყვლევარი და მასანავლებელი. ეს უკანასკნელი, თითქოს შეუმჩნევლად, მაგრამ მაინც განსაკუთრებულად იყო ნინ ნამოწელი".

ჩემი მასწავლებლის მოგონე-  
ბას მისივე წერილის ბოლო ნინა-  
დადების პერიფრაზით დავამ-  
თავრება:

... არასოდეს დასრულდება  
ალექსანდრე გვახარიას სულიერი  
სიცოცხლე, რომელიც მისი მოწა-  
ფების მეხსიერებაში და მისი წიგ-  
ნების ფურცლებზეა აღბეჭდილი".